

28.01.2020

**ლარიფანის ავტორის რეკომენდაცია კორონავირუსის ახალ შტამთან (2019-nCoV)
ზრბოლის მიმართულებით**

Coronavirus 2019-nCoV ვირუსთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და მსოფლიოში განვითარებული ბოლოდროინდელი დრამატული მოვლენებიდან გამომდინარე გვსურს რეკომენდაცია გავუწიოთ ანტივირუსულ პრერატა ლარიფანს, როგორც ეფექტურ საპროფილაქტიკო და სამკურნალო საშუალებას ვირუსული ინფექციების, მათ შორის კორონა ვირუსებით განპირობებული ინფექციების წინააღმდეგ.

სავარაუდოდ ლარიფანი ვერ გამოასწორებს ავადმყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობას იმ რეგიონებში, სადაც უკვე პიკს აღწევს ინფიცირების მაჩვენებელი, მაგრამ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ლარიფანის საშუალებით შევძლებთ შევამციროთ ვირუსით ინფიცირების რისკი სხვა რეგიონებში, გამომდინარე იქიდან, რომ ლარიფანი არის ფართო სპექტრის ანტივირუსული პრეპარატი და მისი მაღალეფექტურობა კორონავირუსებთან მიმართებაში დადასტურდა არაერთი კლინიკური დაკვირვებით. რაც შეეხება ინფექციის ეპიცენტრებს, ანუ წითელ რეგიონებს - ამ რეგიონებში საჭიროა სპეციფიური ვაქცინის გამოყენება, რომლის შექმნასაც დასჭირდება გარკვეული დრო, რა დროშიც ინფექცია შესაძლებელია გავრცელდეს სხვა - ჯერ კიდევ მწვანე რეგიონებში.

ლარიფანის აქტიური ნივთიერება არის ორსპირალური რიბონუკლეინის მჟავა, რომლის წარმოებაც ხდება ლატვიაში, კომპანია “Larifans Ltd” მიერ.

გვსურს საზოგადოების ყურადღება შევაჩეროთ ლარიფანის ინექციებზე, როგორც საპროფილაქტიკო საშუალებაზე - Coronavirus 2019-nCoV -ის პანდემიის საშიშროებით გამოწვეულ ექსტრემალურ პირობებში. ლარიფანის ეს ფორმა ლატვიაში დარეგისტრირდა, როგორც იმუნომოდულატორი ანტივირუსული მოქმედებით 1990 წელს და მას შემდეგ ის გამოიყენება ამ მიმართულებით ლატვიაში, ლიტვაში, ესტონეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში.

არაექსტრემალურ პირობებში, როდესაც არ არსებობს ვირუსული ინფექციის პანდემიის საშიშროება, ვირუსის პროფილაქტიკისთვის, როგორც წესი გამოიყენება ლარიფანის სხვა ფორმები (მალამო, სპრეი, ლარინგო, ტუჩსაცხი და რიგ შემთხვევებში რექტალური სათლები), მაგრამ დღეისთვის არსებული მდგომარეობა გვაიძულებს მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ საინექციო ფორმას, რომელიც სპეციალურად შექმნილია მძიმედ მიმდინარე, განსაკუთრებით აგრესიული, ახალი და იშვიათი ვირუსების გასაწეიტრალეზად. გამომდინარე იქიდან, რომ ლარიფანი თრგუნავს ვირუსის უჯრედშიდა გამრავლებას ეტაპზე, რომელიც საერთოა პრაქტიკულად ყველა ვირუსისთვის - მას აქვს გამოხატული ფართო სპექტრის ანტივირუსული მოქმედება.

ლარიფანის აქტიური ნივთიერება არის ბუნებრივი წარმოშობის ორსპირალური რიბონუკლეინის მჟავა, რომელიც მიიღება არაპათოგენური ბაქტერიისგან, შესაბამისი ფაგით მისი ბიოტექნოლოგიური გზით წინასწარი ინფიცირების შემდგომ.

გარდა ძლიერი ანტივირუსული მოქმედებისა, ლარიფანს აქვს უნარი მნიშვნელოვნად გააძლიეროს ორგანიზმის იმუნური სისტემა და ბუნებრივი დაცვითი ფუნქციები (ინტერფერონების ინდუქციის გზით) და მით უფრო ეფექტურია სხვადასხვა ინფექციებისგან თავის დასაცავად.

ორსპირალური რიბონუკლეინის მჟავა ლარიფანის (ორნმ ლარიფანი) ანტივირუსული ეფექტი დადასტურებულია სხვადასხვა კლინიკური დაკვირვებებით ლატვიისა და ევროპის სხვა ქვეყნების კლინიკებსა და კვლევით ცენტრებში ბოლო 30 წლის განმავლობაში.

განსაკუთრებით თემატურია ლატვიური გამოცდილება ლარიფანის სპრეის გამოყენებისა ინჰალაციების სახით 1990 წლის გრიპის ეპიდემიის დროს. სპრეის გამოყენება ინჰალაციის სახით ხდებოდა დაინფიცირებულ პაციენტებსა და მათთან კონტაქტში მყოფ ადამიანებში. შედეგად მიღებულ იქნა შემდეგი სურათი - 2500 პაციენტიდან, სადაც გამოიყენეს სპრეის ინჰალაცია გამოჯანმრთელება დადგა 36-48 საათში პაციენტთა 100%-ში, ხოლო კონტაგიოზურ ადამიანთაგან არ დაავადებულა არც ერთი მიუხედავად იმისა, რომ ისინი აქტიურ კონტაქტში იყვნენ დაინფიცირებულ ოჯახის წევრებთან.

2009 წელს, მას შემდეგ რაც გამოქვეყნდა ლარიფანის უსაფრთხოების კვლევის კეთილსამედო შედეგები, რომლებიც ადასტურებდნენ ლარიფანის უსაფრთხოების უმაღლეს პროფილს, ჩატარდა კლინიკური დაკვირვება ბავშვებზე. კვლევაში მონაწილეობდნენ ბავშვები 1 თვის ასაკიდან 12 წლამდე. აღნიშნული კლინიკური დაკვირვების პირობებში მიმდინარეობდა ლარიფანის სანთლებით მეორადი იმუნოდეფიციტის და გრიპის მკურნალობა ხშირად მოავადე ბავშვებში. კვლევის შედეგებმა დაადასტურა ლარიფანის მაღალეფექტურობა.

დღეისათვის 2019-იCoV სწრაფად გავრცელების და მსოფლიო პანდემიის რისკიდან გამომდინარე, ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ ლარიფანის ინექციებს და/ან რექტალურ სუპოზიტორიებს ვირუსით ინფიცირების მაღალ დონეზე პროფილაქტიკისთვის ყოველგვარი გვერდითი მოვლენების გარეშე. საპრევენციო დოზის სახით რეკომენდაციას ვუწევთ ლარიფანის ინექციის 1მლ - კანქვეშ ერთჯერადად, ერთჯერადი, ძლიერი იმუნომოდულაციისთვის. ხოლო კონტაგიოზობის კრიტიკულად მაღალი კოეფიციენტის დროს რეკომენდაციას ვუწევთ ლარიფანის 1 მლ კანქვეშა ინექციის სახით 5-10 დღეში ერთხელ ჯამში 4-12 ინექციის ოდენობით.

Dr med Guna Feldmane
autor dsRNA LARIFAN

